

შპს აჭარისწყალი ჯორჯია

(ს.კ.404401438)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო
სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნები	31-დეკ - 2018	31-დეკ - 2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	3,364	2,889
საგადასახადო აქტივები მოგების			
გადასახადის გარდა		3,614	-
ავანსები და სხვა მოთხოვნები	11	4,139	425
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		1,451	23
სულ მიმდინარე აქტივები		12,568	3,337
გრძელვადიანი აქტივები:			
შენიშნა ნაგებობები		167	128
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა		111	234
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი			
ავანსები		2,599	3,768
მშენებარე ობიექტები	15	512,743	924,114
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,416	1,713
არამატერიალური აქტივები		926	316
სულ გრძელვადიანი აქტივები:		517,962	930,273
სულ აქტივები		530,530	933,268
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:			
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაკავშირებული მშენებარე ობიექტებთან	9	(28,907)	(24,887)
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	(747)
ჯარიმები გადაუხდელ სესხზე		(1,359)	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		(3,979)	(691)
სესხები	12	(721,284)	(622,489)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		(755,529)	(648,814)
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		(755,529)	(648,814)
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	(297,078)	(297,078)
შენატანი საწესდებო კაპიტალში		(71,021)	(56,018)
დაგროვილი ზარალი		593,098	68,642
სულ საკუთარი კაპიტალი		224,999	(284,454)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		(530,530)	(933,268)

შპს აჭარისწყალი ჯორჯია

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	2018	2017
სხვა შემოსავალი	6	41,556	550
პერსონალის ხარჯები	7ა	(1,567)	(2,741)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7ბ	(8,561)	(7,199)
სხვა ხარჯები	8	(6,427)	(573)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	15გ	(540,726)	-
ფინანსური შემოსავალი		101	12,464
ფინანსური ხარჯი	10	(8,832)	(323)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		<u>(524,456)</u>	<u>2,178</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		<u>-</u>	<u>-</u>
მიმდინარე წლის მოგება		<u>(524,456)</u>	<u>2,178</u>
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		<u><u>(524,456)</u></u>	<u><u>2,178</u></u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია მმართველობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 13 მარტს შემდეგი პირების მიერ:



ირაკლი ჯორჯია

აღმასრულებელი დირექტორი



ანანდ სოლანკი

ფინანსური დირექტორი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებით		სულ კაპიტალი
		გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	274,123	18,330	(70,820)	221,633
სულ სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	2,178	2,178
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	2,178	2,178
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
მშობელი კომპანიის შენატანი	-	60,643	-	60,643
კონვერტაცია საწესდებო კაპიტალში	22,955	(22,955)	-	-
სულ შენატანები	22,955	37,688	-	60,643
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	297,078	56,018	(68,642)	284,454
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	297,078	56,018	(68,642)	284,454
სულ სრული ზარალი				
წლის ზარალი	-	-	(524,456)	(524,456)
სულ წლის სრული ზარალი	-	-	(524,456)	(524,456)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
მშობელი კომპანიის შენატანი	-	15,003	-	15,003
სულ შენატანები	-	15,003	-	15,003
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	297,078	71,021	(593,098)	(224,999)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		(524,456)	2,178
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		135	125
გაუფასურების ზარალი ძირითად საშუალებებზე		540,726	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		2,106	-
წმინდა ფინანსური ხარჯები/(შემოსავალი)	10	8,731	(12,141)
		27,242	(9,838)
ცვლილებები:			
მარაგებში		(1,428)	(8)
ავანსებში და სხვა მოთხოვნებში		(3,761)	342
საგადასახადო (აქტივებში)/ვალდებულებებში		(4,404)	38,680
სხვა აქტივებში		57	(107)
სხვა ვალდებულებებში		4,179	133
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		21,885	29,202
პროცენტის გადახდამდე		(101)	(323)
გადახდილი პროცენტი		(101)	(323)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		21,784	28,879
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		101	323
ძირითადი საშუალებების შეძენა		(65,999)	(109,951)
ძირითად საშუალებებზე გადახდილი პროცენტი		-	(39,114)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(626)	(273)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(66,524)	(149,015)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან		67,196	41,357
შემოსულობები მშობელი კომპანიის შენატანებიდან		15,003	61,967
სესხებთან და კრედიტებთან დაკავშირებული გარიგების ხარჯები		-	(376)
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა		(37,020)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		45,179	102,948
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		439	(17,188)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		2,889	23,184
გაცვლით კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		36	(3,107)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	3,364	2,889

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია – გვ. 7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა - გვ.8
3. მსს ფასს-ზე გადასვლა – გვ. 16
4. უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპი - გვ. 16
5. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა - გვ. 19
6. სხვა შემოსავალი - გვ. 19
7. შრომის ანაზღაურება & საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები - გვ. 19
8. სხვა ხარჯები - გვ. 20
9. სხვა ვალდებულებები - გვ. 21
10. წმინდა ფინანსური დანახარჯები და შემოსავლები - გვ. 21
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - გვ. 22
12. სესხები - გვ. 22
13. სააქციო კაპიტალი - გვ. 23
14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი - გვ. 24
15. ძირითადი საშუალებები - გვ. 24
16. პირობითი ვალდებულებები - გვ. 27
17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები - გვ. 27
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები - საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება - გვ. 27
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება - გვ. 29

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (AGL - შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და 2011 წლის 8 ივნისს დამტკიცებული, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ირაკლი აბაშიძის 6, ბათუმი საქართველო.

კომპანია ავითარებს ჰიდროელექტროსადგურებს აჭარისწყალის მდინარეზე და მის შენაკადებზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. სამშენებლო სამუშაოები სრულდება, საქართველოს მთავრობასთან დადებული, „მშენებლობა, ფლობა, ოპერირება“ ხელშეკრულების მიხედვით („BOO ხელშეკრულება“). BOO ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია პასუხისმგებელია აჭარისწყალის მდინარეზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარებაზე, დადგენილი სიმძლავრით მინიმუმ 175 მეგავატი („პროექტი“). თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ კომპანიას მიაწოდა აჭარისწყალის მდინარის და მისი შენაკადების ჰიდროელექტროსადგურებისთვის გამოყენების ექსკლუზიური უფლება. BOO-ს მიხედვით, კომპანიამ ასევე აიღო ვალდებულება გაყიდოს თითოეული ჰიდროელექტროსადგურის სრული ელექტროენერგიის გამომუშავება სამი ზამთრის თვის განმავლობაში, ამგვარი საწარმოს ექსპლუატაციის პირველი ათი წლის განმავლობაში, ექსკლუზიურად საქართველოს შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ამჟამად, კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებს ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ შეთანხმების (PPA) განახლებაზე, საქართველოს ბაზარზე ელექტროენერგიის წარმოების გაყიდვების გაზრდის შესახებ.

კომპანია დარეგისტრირდა როგორც „კვალიფიციური საწარმო“ (Qualified Enterprise) და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისგან („ESCO“) მიიღო ლიცენზია ელექტროენერგიის წარმოებაზე, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 21 სექტემბრიდან. პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა მოსალოდნელი იყო 2017 წლის ოქტომბერში, თუმცა, პროექტის გვირაბებში გარკვეული შემთხვევის გამო, საქმიანობის დაწყება გადაიდო. ხელმძღვანელობა მოელის, რომ პირველი ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევა 2019 წლის მეოთხე მეოთხედიდან, მას შემდეგ რაც გვირაბების პრობლემა იქნება მოგვარებული. კომპანიის სამიზნე ბაზარს წარმოადგენს საქართველო და თურქეთი.

კომპანიის მფლობელია „Adjaristsqali Netherlands B.V.“ (ABV - პირდაპირი მშობელი კომპანია, მფლობელი). „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ის მფლობელია „Tata Power International PTE Limited (TPIPL)“ – 40%, „Clean Energy Invest AS“ (CEI, 93% „Norsk Mineral AS“-ს შვილობილი კომპანია) – 40% და „International Financial Corporation“

(IFC) – 20% (საბოლოო აქციონერები). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „Adjaristsqali Netherlands B.V“ იყო TPIPL და CEI-ს საერთო კონტროლის ქვეშ.

კომპანია, პროექტისთვის კაპიტალის დაფინანსებას იღებს TPIPL, CEI და IFC-გან, ხოლო სესხის დაფინანსებას, უფროსი კრედიტორებისგან - IFC (ABV-ს 20%-იანი წილის მფლობელი), EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და ADB (აზიის განვითარების ბანკი).

2015 წლის მარტში კომპანიამ მიაღწია ფინანსურ დახურვას და 2017 წლის თებერვლის ბოლოს სრულად გამოიყენა უფროსი კრედიტორებისგან აღებული სესხი 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში „ლარი“

კონსოლიდაციის საფუძველი

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები, ამიტომაც წარმოდგენილია მხოლოდ კომპანიის საკუთარი ფინანსური ანგარიშგება.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანია არ ახორციელებს ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში. მისი ინვესტიციები მიმართულია საკუთარი პროექტის - ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობაზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. ამ ეტაპზე, კომპანია მშენებლობის პროცესშია და ამონაგების აღიარებას დაიწყებს როცა გადავა ოპერირების ფაზაზე. კომპანია გეგმავს ელექტროენერგიის გაყიდვას საქართველოს და თურქეთის ბაზარზე, აგრეთვე ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„კომპანიის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გარდა შემთხვევებისა როდესაც საპროცენტო ხარჯი მიჩნეულია როგორც სასესხო ხარჯი, რომელიც უნდა კაპიტალიზდეს კვალიფიციურ აქტივზე.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ლარში, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირდება ლარში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე მოგება ან ზარალი უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაყვანილს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

ოპერაციებში წარმოშობილი ცვლილებები უცხოურ ვალუტაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი მიჩნეულია სასესხო ხარჯებად და უნდა კაპიტალიზდეს კვალიფიციურ აქტივზე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის საწარმოთა შერწყმას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს უკავშირდება.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი შევიდა ძალაში 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო საერთაშორისო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის დღისა ან იმ პერიოდისა, რომლის დროსაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება წმინდა განაწილების ოდენობის 15/85-ით.

საგადასახადო ანაზღაურება გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე ხელმისაწვდომია გადახდილი მოგების გადასახადისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ლიმიტებში წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	5-10 წელი;
სხვა	3-10 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია დანახარჯთან დაკავშირებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლის ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ორიდან ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები:

ა) კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგება და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება და ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბ) ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიდან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ის მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან

მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან კრედიტის სხვა პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

გ) აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემისა და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. კომპანიას არ გააჩნია ფიფანსური იჯარა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულება და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ამ ეტაპზე არ ახდენს საქონლის რეალიზაციას, მაგრამ როდესაც გადავა ოპერირების ფაზაზე, რეალიზაცია განხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით (საორიენტაციო პერიოდი 30 დღე) და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ დაერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება მოხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ხდება მისი შემდგომი კაპიტალიზაცია.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

მსს ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

4. უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპი

გვირაბების ჩამონგრევა:

ხელმძღვანელობა პროექტის ექსპლუატაციაში შეყვანას ვარაუდობდა 2017 წლის მეოთხე მეოთხედში, რა მიზნით კომპანია ასევე დარეგისტრირდა როგორც კვალიფიციური საწარმო და ESCO-გან მოიპოვა ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია, ძალაში 2017 წლის 21 სექტემბრიდან. თუმცა, 2017 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში, პროექტის ტესტირებისას, პროექტის სამიდან ორ გვირაბში დაფიქსირდა ქვის ვარდნის შემთხვევები. ამ შემთხვევების გამო, პროექტის ექსპლუატაციაში შეყვანა გადაიდო გვირაბების შეკეთების მიზნით. ხელმძღვანელობა მოელის, რომ გვირაბების სარემონტო სამუშაოები 2019 წლის მეოთხე მეოთხედში დასრულდება, რის შემდეგაც მოხდება პროექტის ექსპლუატაციაში შეყვანა. ხელმძღვანელობა ჩართული იყო აქტიურ მოლაპარაკებებში სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიებთან გვირაბების ჩამონგრევით გამოწვეული, ფაქტიური ზიანის ოდენობის შეფასების მიზნით. ამჟამად, მიმდინარეობს ორივე გვირაბის სარემონტო სამუშაოები.

კომპანიას აქვს დაზღვევა მისი დანადგარების ნებისმიერი სახის ფიზიკურ ზიანზე, ასევე პროექტის საქმიანობის დაწყების გადადებით გამოწვეულ, შემოსავლების ნებისმიერ დანაკარგზე. ხელმძღვანელობა აქტიურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს სადაზღვევო კომპანიებთან და მოელის, რომ სადაზღვევო ანაზღაურება დაფარავს გვირაბების ჩამონგრევით გამოწვეული ზიანის შეკეთების სამუშაოების დიდ ნაწილს. 2018 წელს კომპანიამ მზღვეველებისგან მიიღო ნაწილი სადაზღვევო ანაზღაურებისა და დანარჩენი სადაზღვევო ანაზღაურების მიღება მოსალოდნელია 2019 წლის პირველ ნახევარში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები მზღვეველების მიმართ აღიარდა მხოლოდ დადასტურებულ ოდენობაზე 1.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (3,994 ათასი ლარის ეკვივალენტური), არ მოხდა სადაზღვევო ანგარიშსწორების დარჩენილი ოდენობების მოთხოვნებში აღიარება, რადგან მოლაპარაკებები სადაზღვევო კომპანიებთან არ იყო დასრულებული.

დამატებით, ზემოთ აღწერილი მოვლენების შედეგად, კომპანიამ ვერ შეძლო 2014 წლის 30 მაისს კომპანიასა და უფროს კრედიტორებს (IFC, EBRD and ADB) შორის დადებული, ზოგადი პირობების ხელშეკრულების (CTA), ქვეთავი 6.02 (o)-ის მოთხოვნების მიხედვით, „პროექტის დასრულების თარიღის“ (2017 წლის 1 ნოემბერი) დაკმაყოფილება. ამასთანავე, კომპანიამ ვერ დაფარა 2018 წლის 15 ივნისს და 2018 წლის 15 დეკემბერს დასაფარი, დარიცხული პროცენტი და ძირითანა. შეუსრულებლობის შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ განიცადა დეფოლტის შემთხვევა, CTA-ს განმარტების მიხედვით, რაც უფროს კრედიტორებს აძლევს უპირობო უფლებას მითხოვოს სესხების და კრედიტების, 721,284 ათასი ლარის ოდენობით, დაუყოვნებლივ დაფარვა (622,489 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბერს). შედეგად, სესხების და კრედიტების ნაშთი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირდა როგორც მიმდინარე ვალდებულებები. მოცემული ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღისთვის უფროს კრედიტორებს არ მოუთხოვიათ სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა დეფოლტის შემთხვევის გამო.

გვირაბების ჩამონგრევის შემთხვევების შედეგად, და სესხის ხელშეკრულების დეფოლტის შემთხვევების გამო, ხელმძღვანელობა და მისი აქციონერები (CEI და TPIPL) აწარმოებენ მოლაპარაკებებს უფროს კრედიტორებთან, CTA-ს შესაბამისად მიღებულ, სესხის პირობების დათმობებზე. უფროს კრედიტორებთან მოლაპარაკებების შედეგების საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უფროსი კრედიტორების ზოგადი განზრახვაა უარი თქვას დეფოლტის შემთხვევაზე, CTA-ს შესაბამისად მიღებული, სესხის პირობების რესტრუქტურირების გზით.

2018 წელს, უფროს კრედიტორებთან გაიმართა რამდენიმე შეხვედრა რესტრუქტურირების პაკეტის განსახილველად, რომლის ძირითადი განხილვის თემა იყო სესხის დაფარვის წნეხის შემსუბუქება, პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში და CTA-ს რესტრუქტურირების პაკეტი. 2018 წლის ნოემბერში, უფროსმა კრედიტორებმა, აქციონერებმა და კომპანიას ხელმძღვანელობამ დადეს პრინციპული შეთანხმება რესტრუქტურირების პირობებზე, სადაზღვევო შემოსულობების და აქციონერებისგან მიღებული (სესხის დაფარვის დეფიციტის გარანტიის სახით) გვირაბების რემონტის თანხის, 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, ხელმისაწვდომობის ჩათვლით. ყველა მხარე შეთანხმდა რესტრუქტურირების პაკეტის პროექტის პირობებზე და ამჟამად მიზნად ისახავს, 2019 წლის 1-ელ მეოთხედში, რესტრუქტურირების პაკეტის ხელშეკრულებების დადებას.

ხელმძღვანელობამ, აქციონერების წარმომადგენლებთან ერთად, წამოიწყო მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან ენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) შესახებ. ამჟამად, საქართველოს მთავრობა აფასებს ხელმძღვანელობის განახლებულ მოთხოვნას: კანონმდებლობაში შეტანილი ახალი ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა ახორციელებს შეთავაზებული პირობების ფისკალურ შეფასებას. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ PPA განხილვები, სავარაუდოდ 2019 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

2014 წლის 30 მაისს, აქციონერებს, უფროს კრედიტორებს და კომპანიას შორის დადებული „Sponsors Support and Share Retention Agreement (SSSRA)“ ხელშეკრულების მიხედვით, აქციონერებმა 2017-2018 წლებში უკვე გადაიხადეს 28 მილიონი აშშ დოლარი როგორც გადახარჯვის მხარდაჭერის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო პროექტზე 2018 წლის მარტის ბოლომდე. 2018 წლის განმავლობაში დამატებით, 26.5 მილიონი აშშ დოლარი იქნა შეტანილი კომპანიაში სპონსორების მიერ, 13.25 მილიონი აშშ დოლარი CEI-ს და TPIPL-ის მიერ, შესაბამისად, როგორც დროებითი სესხები („განახლებადი სესხის ხაზი“-„ხიდის სესხები (bridge loan)“) რათა დაკმაყოფილდეს პროექტის მოთხოვნები, სანამ კომპანია მიიღებს სადაზღვევო შემოსავლებს.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო შუალედური სადაზღვევო გადახდები და დაუყოვნებლივ დაფარა „ხიდის სესხი“ იგივე ოდენობით.

ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის, მოქმედი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელების შეფასება

ხელმძღვანელობას, აქციონერებს, უფროს კრედიტორებს, და მზღვეველებს შორის განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგების და მიმდინარე თარიღამდე განხორციელებული რესტრუქტურირაციის და სადაზღვევო ანაზღაურებების პროგრესის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა მხარე შეთანხმდა გვირაბების შეკეთებაზე, სესხის დაფარვის მდგრადობაზე და პროექტის ვადების და სხვა პირობების, რესტრუქტურირაციის პაკეტის შექმნაზე. მსგავსი განხილვების საფუძველზე, ხელმძღვანელობა, გონივრულ ფარგლებში დარწმუნებულია, რომ სესხები და კრედიტები საბალანსო ღირებულებით 721,284 ათასი ლარი, რომლებიც კლასიფიცირებული იყო როგორც „მოთხოვნამდე“ დეფოლტის შემთხვევების გამო, არ იქნება დაჩქარებული 2018 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში (622,489 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

პროექტის განხილვა სადაზღვევო კომპანიებთან მიმდინარეობს დადებითად, მაგრამ ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ დაფინანსების მოთხოვნასა და სადაზღვევო შემოსულობების მიღებას შორის არის დროში აცდენა. მაშასადამე, ხელმძღვანელობა მზღვეველებთან და მათ მრჩეველებთან, მუშაობს წინსწრებით დაფინანსების მიღების უზრუნველყოფაზე (რაც ნებადართულია კომპანიის სადაზღვევო პოლიტიკის ფარგლებში), რათა ოდნავ შეუმსუბუქდეს დაფინანსების მიღების წნეხი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მზღვეველებისგან მიიღო შუალედური გადახდა.

ეს და სხვა ზემოთ აღწერილი მოვლენები მიაწინებს არსებით გაურკვევლობებზე, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუმცა, ხელმძღვანელობას სჯერა,

რომ ზემოაღნიშნული მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოცემული ეჭვები იქნება შემსუბუქებული და მაშასადამე, მოცემული 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

5. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 593,098 ათას ლარს (2017 წელს: დაგროვილი ზარალი 68,642 ათასი ლარის ოდენობით).

6. სხვა შემოსავალი

ლარი 000	2018	2017
შემოსავალი დაზღვევიდან	41,060	-
სხვა შემოსავალი	496	550
სულ სხვა შემოსავალი:	41,556	550

სხვა შემოსავალი შედგება სადაზღვევო შემოსულობებისგან, რომელიც კომპანიას ეკუთვნის გვირაბების ჩამონგრევის შემთხვევებით კომპანიაზე მიყენებული ზიანისა და შემოსავლების დანაკარგის ასანაზღაურებლად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა მოთხოვნები 3,994 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც კომპანიამ შემდგომ მიიღო 2019 წლის იანვარში.

7 (ა) შრომის ანაზღაურება

ლარი '000	2018	2017
ხელფასები	1,447	2,392
სხვა პერსონალის ხარჯები	120	349
სულ	1,567	2,741

7 (ბ) საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი '000	2018	2017
პროფესიული მომსახურება	6,296	3,439
ხელახლა დარიცხული ხარჯი	500	-
სოციალური ხარჯი	368	1,750
ოფისის ხარჯები	158	145
იჯარა	153	249
ცვეთა და ამორტიზაცია	135	125
წამომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	65	288
სესხის ადმინისტრირება	-	534
სხვა ხარჯები	886	669
	8,561	7,199

იმის გათვალისწინებით რომ, IFC, EBRD და ADB სესხებს გადახდის ვადა დაუდგათ 2017 წელს, დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული იყო სესხის ადმინისტრირებასთან 2018 წელს აღარ გვევლინება.

8. სხვა ხარჯები

ლარი 000	2018	2017
ჯარიმა დაუფარავ პროცენტზე და ძირ თანხაზე	1,359	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	2,106	-
სხვა საკონსულტაციო ხარჯები	1,500	-
სხვა ხარჯი	1,462	573
სულ სხვა ხარჯი:	6,427	573

საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, სესხის პროცენტის გადახედი დაიწყო 2015 წლიდან, ხო. როგორც სესხის ძირის, ასევე პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის ივნისში და დეკემბერში. შენიშვნა #3-ში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანიამ ვერ მოახდინა სასესხო ვალდებულებების დაფარვა 2018 წელს, რამაც გამოიწვია 1,359 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა.

აგრეთვე, როგორც განსაზღვრულია შენიშვნა #3-ში, გრძელვადიან სესხებს IFC, EBRD და ADB-სგან გადახდის ვადა დაუდგათ 2017 წელს და კომპანია აწარმოებს პოლაპარაკებებს უფროს კრედიტორებთან, სპონსორებთან და მზღვევლებთან

ტუნელების შეკეთების უზრუნველსაყოფად. 1,500 ათასი ლარი დაიხარჯა აღნიშნულ პროცესების უზრუნველსაყოფად 2018 წელს.

სხვა ხარჯები ძირითადად შედგება 220 კილოვატიან გადამცემი ხაზის უზრუნველსაყოფად და ტუნელში მომხდარი ინციდენტიდან გამომდინარე მთავარი სამშენებლო კონტრაქტორის კომპენსაციისგან, სამუშაოების დროებითი შეჩერების გამო.

9. სხვა ვალდებულებები

'000 GEL	31-დეკ-18	31-დეკ-17
მშენებარე აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები	28,907	24,887
ჯარიმა დაუფარავ სესხზე	1,359	-
სხვა ვალდებულებები	3,979	691
	<u>34,245</u>	<u>25,578</u>

10. წმინდა ფინანსური (ხარჯები)/შემოსავალი

'000 ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	101	323
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული მოგება, წმინდა	-	12,141
ფინანსური შემოსავალი	<u>101</u>	<u>12,464</u>
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(101)	(323)
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(8,731)	-
ფინანსური ხარჯი	<u>(8,832)</u>	<u>(323)</u>
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური (ხარჯები)/შემოსავალი	<u>(8,731)</u>	<u>12,141</u>

11. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31-დეკ-18	31-დეკ-17
წინასწარ გადახდილი ხარჯები	141	422
მოთხოვნები მზღვეველების მიმართ	3,994	-
სხვა მოთხოვნები	4	3
	4,139	425

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ აღიარა 3,994 ათასი ლარი მოთხოვნა მზღვეველების მიმართ, დადასტურებული და შეთანხმებული ოდენობა, რომელიც 2019 წელს მიიღო. სხვა მოთხოვნის აღიარება აღნიშნულ სააღრიცხვო პერიოდში არ მომხდარა, რადგან მიმდინარეობდა მოლაპარაკება სადაზღვეო კომპანიასთან შემდგომ ტრანშებზე.

12. სესხები

'000 ლარი	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან	689,165	622,489
სესხები ურთიერთდაკავშირებული პირებიდან	32,119	-
	721,284	622,489

2018 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი 44,386 ათასი ლარის ოდენობით და უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებიდან მიღებული ზარალი, 16,039 ათასი ლარის ოდენობით, იქნა კაპიტალიზებული მშენებარე აქტივებზე (2017: 42,382 ათასი ლარი და ნული, შესაბამისად).

უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებისგან წარმოადგენს „ხიდის სესხს“ რომელიც მიღებულია, პირდაპირ მშობელ კომპანიაზე საერთო კონტროლის მქონე საწარმოებიდან - „Tata Power International PTE Limited (TPIPL)“ და „Clean Energy Invest AS (CEI)“-გან. TPIPL და CEI-გან მიღებული „ხიდის სესხები“ (16,060 ათასი ლარი, თითოეულისგან უზრუნველყოფილია მოსალოდნელი სადაზღვეო შემოსულობებით. „ხიდის სესხები“ არ არის პროცენტიანი და გადაიხდება დაუყოვნებლივ, სადაზღვეო გადახდების მიღებისთანავე.

კომპანიის ყველა აქტივი დაგირავებულია, უფროს კრედიტორებთან (EBRD, ADB და IFC) დადებული სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში.

კომპანიამ, 2017 წლის 1 ნოემბრისთვის ვერ მოახერხა პროექტის დასრულება, როგორც მოთხოვნილი იყო კომპანიასა და უფროს კრედიტორებს შორის, 2014 წლის 30 მაისს დადებული, CTA-ს 6.02(ი) ქვეთავის მიხედვით. მოცემული დარღვევის შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა დეფოლტის შემთხვევა, CTA-ს განმარტების მიხედვით, რამაც უფროს კრედიტორებს მისცა უპირობო უფლება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოითხოვონ სესხებისა და კრედიტების, 721,284 ლარის ოდენობით, დაუყოვნებლივ დაფარვა. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხებისა და კრედიტების მთლიანი ნაშთი კლასიფიცირებულ იქნა როგორც მოთხოვნამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების დადასტურების დროს უფროს კრედიტორებს არ წამოუწევიათ დეფოლტის შემთხვევის საკითხი.

13. სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის წესდებაში.

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი	166	166
გამოშვებული, სესხის კონვერტაციის ნაწილის სახით	20,234,308	20,234,308
დამატებითი შენატანებიდან კაპიტალში, გადატანილი საწესდებო კაპიტალში	276,843,775	276,843,775
	297,078,249	297,078,249

2018 წლის იანვარში და თებერვალში, კომპანიის პირდაპირმა მშობელმა კომპანიამ განახორციელა ნაღდი ფულის შენატანი, 6,000 აშშ დოლარის ოდენობით (15,003 ათასი ლარი) კომპანიის კაპიტალში, რაც წარმოადგენს გადახარჯვის მხარდაჭერას, 2014 წლის 30 მაისით დათარიღებული, აქციონერებს, უფროს კრედიტორებს და კომპანიას შორის დადებული, სპონსორების მხარდაჭერის და აქციების შენახვის ხელშეკრულების (Sponsors Support and Share Retention Agreement) მიხედვით. კომპანიამ აღიარა 6,000 ათასი აშშ დოლარის შენატანის ეკვივალენტი ლარში, შესაბამისი, მოთხოვნის წარმოშობის თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ლარი/აშშ დოლარი გაცვლითი კურსის გამოყენებით, როგორც დამატებითი შენატანები კაპიტალში, რადგან კომპანიას აქვს სრული უფლება, რომ შეხედულებისამებრ დაფაროს მოცემული შენატანი და რადგან კომპანიის პირდაპირ მშობელ კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაშთები ბანკში	3,364	2,889
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	3,364	2,889

15. ძირითადი საშუალებები და ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

'000 ლარი	შენიშნულ- ნაგებობები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	მშენებარე აქტივები	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	128	255	764,456	7,989	588	773,416
შესყიდვები	-	58	146,854	8,583	520	156,015
გაყიდვები	-	(79)	-	-	(92)	(171)
გადატანა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსებიდან მშენებარე აქტივებში	-	-	12,804	(12,804)	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	128	234	924,114	3,768	1,016	929,260
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	128	234	924,114	3,768	1,016	929,260
შესყიდვები	132	14	125,446	4,846	49	130,487
გაყიდვები/ჩამოწერები	-	(6)	(2,106)	-	-	(2,112)
გადატანა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსებიდან მშენებარე აქტივებში	-	-	6,015	(6,015)	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	260	242	1,053,469	2,599	1,065	1,057,635
ცვეთა და გაუფასურება						
2017 წლის 1 იანვარს	62	101	-	-	115	278
წლის ცვეთა	27	44	-	-	50	121
გაყიდვები	-	(45)	-	-	(12)	(57)
2017 წლის 31 დეკემბერს	89	100	-	-	153	342
2018 წლის 1 იანვარს	89	100	-	-	153	342
წლის ცვეთა	4	37	-	-	78	119
გაუფასურება	-	-	540,726	-	-	540,726
გაყიდვები	-	(6)	-	-	-	(6)
2018 წლის 31 დეკემბერს	93	131	540,726	-	231	541,181
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარს	66	154	764,456	7,989	473	773,138
2017 წლის 31 დეკემბერს	39	134	924,114	3,768	863	928,918
2018 წლის 31 დეკემბერს	167	111	512,743	2,599	834	516,454

ა) უზრუნველყოფა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 516,454 ათასი ლარი (2017: 928,918 ათასი ლარი) დაგირავებულია უფროს კრედიტორებთან - EBRD, ADB და IFC - დადებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

ბ) მშენებარე აქტივები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

მშენებარე აქტივები მოიცავს შუახევში ჰიდროელექტროსადგურის („პროექტი“) განვითარებაზე გაწეულ, კაპიტალურ დანახარჯებს, ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით შეძენილი მიწების თვითღირებულების ჩათვლით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსგავსი მიწების შეძენაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15,479 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერს: 15,311 ათასი ლარი).

მშენებარე აქტივები ასევე მოიცავს 35 კილოვატიანი გადამცემი ხაზის განვითარებაზე გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალიზებულმა დანახარჯებმა შეადგინა 3,676 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერს: 1,025 ათასი ლარი).

2018 წლის განმავლობაში, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს დარიცხულ პროცენტს და დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებულ, უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებულ ზარალს 44,386 ათასი ლარის ოდენობით და 16,039 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად (2017: 42,382 ათასი ლარი და ნული, შესაბამისად). სასესხო ხარჯები კაპიტალიზირდა საშუალო კაპიტალიზაციის 7.33%-იანი განაკვეთით (2017: 7.28%).

ძირითადი საშუალებები ასევე მოიცავს სამშენებლო კომპანიაზე და სხვა, ჰიდროელექტროსადგურის განვითარებაში ჩართულ მიმწოდებლებზე გადახდილ ავანსებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსგავსმა ავანსებმა გრძელვადიანი აქტივებისთვის შეადგინა 2,599 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბრისთვის: 3,768 ათასი ლარი).

გ) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე შემოწმება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს არის თუ არა რაიმე ნიშანი იმისა რომ კომპანიის არაფინანსური აქტივები შეიძლება იყოს გაუფასურებული და რომ მათი აღდგენადი ღირებულება შეიძლება იყოს აქტივების საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები.

გვირაბებში ქვის ვარდნის შემთხვევის შემდეგ, რომლის გამოც გადაიდო პროექტის დასრულება და ასევე თურქეთის ეკონომიკის ტურბულენტობის გათვალისწინებით (ელექტროენერგიაზე ფასების ვარდნა, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება) ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობდა მისი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. შედეგად, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ტესტი (ფულადი ნაკადების ტესტირება) რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ კომპანიის ძირითადი საშუალებების აღდგენადი ღირებულება იყო მათ საბალანსო ღირებულებაზე დაბალი.

ძირითადი საშუალებების აღდგენადი ღირებულება ეფუძნება მის სამართლიან ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ძირითადი საშუალებების უწყვეტი მოხმარებიდან წარმოშობილი, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დადგინდა, რომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, 1,057,180 ათასი ლარის ოდენობით, იყო მეტი ვიდრე მისი აღდგენადი ღირებულება 516,454 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც განისაზღვრა გაუფასურების ტესტის შედეგად და ამგვარად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში აღიარდა შესაბამისი გაუფასურების ზარალი 540,726 ათასი ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად განისაზღვრა ფულადი ნაკადების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელიც კლასიფიცირდა სამართლიანი ღირებულებების იერარქიის მესამე დონეში, გამოყენებული შეფასების ტექნიკის მონაცემების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების შეფასებისას, გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი ვარაუდები:

- პროექტის მოსალოდნელი საოპერაციო შედეგების საფუძველზე განხორციელდა ფულადი ნაკადების 48-წლიანი პროგნოზები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გამართლებულია 48-წლიანი პერიოდის გამოყენება, რადგან ის ასახავს ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის სასარგებლო მომსახურების ვადას, პროექტის ძალაში შესვლის თარიღიდან.
- გამოყენებულ იქნა დისკონტირების განაკვეთი გადასახადებამდე 9.89% პროცენტი;
- სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულებაში (PPA) მითითებული ელექტროენერგიის ტარიფი (რომელიც ამჟამად არის საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპზე განსაზღვრულია საქართველოში პირველი 7 თანმიმდევრული გაყიდვების წლის განმავლობაში გამოსაყენებლად, ინფლაციის ყოველწლიური ნამატით);
- საექსპორტო ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრა მესამე მხარის, საკონსულტაციო კომპანია „AF-Mercados EMI“-ს მიერ და შეთანხმებულ იქნა უფროს კრედიტორებთან: EBRD, IFC და ADB-თან, ინფლაციის ყოველწლიური 2.5%-იანი ნამატით.

ხელმძღვანელობამ გამოავლინა ორი ძირითადი ვარაუდი რომელსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ოდენობის შეფასებაზე:

- გამოყენებული, გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთის დაახლოებით 1%-იანი ზრდა, შეამცირებდა აღდგენად ღირებულებას 50,834 ათასი ლარით და შესაბამისად, იგივე ოდენობით გაიზრდებოდა გაუფასურება;
- პროგნოზირებული შემოსავლის დაახლოებით 10%-იანი შემცირება, შეამცირებდა აღდგენად ღირებულებას 99,488 ათასი ლარით და შესაბამისად, იგივე ოდენობით გაიზრდებოდა გაუფასურება;

16. პირობითი ვალდებულებები

ა) დაზღვევა

კომპანიას აქვს, მისი საწარმოო დანადგარების ნებისმიერი ფიზიკური დაზიანების, პროექტის დასრულების დაგვიანების შედეგად შემოსავლის დანაკარგის და მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის (კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების გამო ან კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული, ქონების ან გარემოს ზიანთან მიმართებაში) დაზღვევა. კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის, რომ სადაზღვევო ანაზღაურება დაფარავს გვირაბების სარემონტო სამუშაოების ძირითად ნაწილს. თუმცა, არსებობს გაურკვევლობა ანაზღაურების ოდენობაზე და მოცემული, მისაღები ანაზღაურების ვადებზე, რომელმაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. 2018 წლის განმავლობაში, შუალედური სადაზღვევო ანაზღაურება, 41,060 ათასი ლარის ოდენობით იქნა შეთანხმებული, რომლიდანაც 37,020 ათასი ლარი იქნა მიღებული

ბ) სასამართლო დავა

კომპანია აგრძელებს სასამართლო პროცესს საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტის (მოსარჩელე) მიერ, 2018 წელს შემოტანილ სარჩელზე, რომლის მიხედვითაც ის ითხოვს შუახვევის (აჭარა, საქართველო) გზების დაზიანების შესაკეთებლად აუცილებელ კომპენსაციას. კომპანიისგან მოთხოვნილი მთლიანი ოდენობა შეადგენს 7 მილიონ ლარს. AGL-მა შესაბამის სასამართლოში დასრულებული პასუხი შეიტანა. სასამართლო მოსმენა არ იყო ჩატარებული მოცემული ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღისთვის. დამატებით, კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორი ასევე გაეცნო საქმეს როგორც მესამე მხარე, რადგან საქმის შედეგმა შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს AGE-ს ვალდებულებებზე შეინარჩუნოს გზები AGE-ს და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიამ და AGE-მ შეასრულეს მათი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და სჯერა, რომ სარჩელი არ არის საფუძვლიანი და რომ კომპანიას აქვს საკმარისი იურიდიული საფუძველი სასამართლო მოსმენის დროს საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შუალედური სადაზღვევო ანაზღაურება, 9,500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, განხორციელდა 2019 წელს, პირდაპირ CEI-სა და TPIPL-ზე, რის შედეგადაც მოხდა 9,500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით „ხიდის სესხის“ დაფარვა. მოცემული, ხელახლა იქნა შეტანილი კომპანიაში, „ხიდის სესხის“ სტრუქტურის ფარგლებში, იანვრიდან 2019 წლის მარტამდე.

ბატონი ანანდ სოლანკი 2019 წლის 15 თებერვლიდან შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ფინანსურ დირექტორად დაინიშნა.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები - საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება

ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა „Adjaristsqali Netherlands B.V.“ 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Tata Power International PTE Limited“-ს და „Clean Energy

Invest AS“-ს („Norsk Mineral AS“-ის 93% შვილობილი კომპანია) ჰქონდათ „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ზე საერთო კონტროლი.

ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

	2018	2017
'000 ლარი	2,595	3,282
ხელფასები და ბონუსები	256	291
სხვა მოკლევადიანი სარგებელი	2,851	3,573

2018 წელს, წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურების ნაწილი, 1,751 ათასი ლარის ოდენობით (2017: 1,740 ათასი ლარი) შესულია ადმინისტრაციულ ხარჯებში პროფესიული მომსახურებისთვის, ხოლო 1,100 ათასი ლარი კაპიტალიზებულია როგორც მშენებარე აქტივების ნაწილი (2017: 1,296 ათასი ლარი). დამატებით, „პერსონალის ხარჯებში“ 2018 წელს არ არის შეტანილი არცერთი ოდენობა (2017 წელს: 537 ათასი ლარი).

გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის და მომსახურების შეძენა:				
მშობელ კომპანიაზე კონტროლის ან საერთო	3,285	6,921	2,287	770
კონტროლის მქონე საწარმოები	409	485	-	-
პირდაპირი მშობელი კომპანია	1,100	-	272	-
სხვა დაკავშირებული მხარეები				
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:	14	14	10	3
სხვა შვილობილი კომპანია				
კაპიტალის ოპერაცია მშობელ კომპანიასთან:	15,003	60,643	-	-
მშობელი კომპანია				
მიღებული სესხები				
მშობელ კომპანიაზე კონტროლის ან საერთო	67,196	-	32,120	-
კონტროლის მქონე საწარმოები				
IFC - პირდაპირი მშობელი კომპანიის 20%-იანი	-	11,586	193,748	174,534
აქციონერი				
დაფარული სესხები				
მშობელ კომპანიაზე კონტროლის ან საერთო	37,020	-	-	-
კონტროლის მქონე საწარმოები				
სესხთან დაკავშირებული ხარჯები:				
IFC - პირდაპირი მშობელი კომპანიის 20%-იანი	574	-	344	-
აქციონერი				

*2018 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 11,947 ათას ლარს (2017: 11,679 ათასი ლარი).

ყველა დაუფარავი ნაშთი და „ზიდის სესხები“, მიღებული პირდაპირ მშობელ კომპანიაზე კონტროლის ან საერთო კონტროლის მქონე საწარმოებისგან, უნდა დაიფაროს ნაღდი ანგარიშსწორებით, ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ნაშთები უზრუნველყოფილი არ არის, გარდა IFC-გან მიღებული სესხისა და CEI და TPIPL-სგან მიღებული „ზიდის სესხებისა“ (შენიშვნა 12). გარანტიები არ ყოფილა გაცემული ან მიღებული.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის
ნებართვა გასცა 2019 წლის 13 მარტს.



ირაკლი ჯორჯიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი



ანანდ სოლომანი

ფინანსური დირექტორი